აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის

ბრძანება №01-01-6/60

2024 წლის 12 აგვისტო

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების დაშლის წესის დამტკიცების თაობაზე

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების დაშლის წესი.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს №01-01-3/212 ბრძანება (www.matsne.gov.ge,10/08/2020, 240140000.33.058.016139).

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი **ჯაბა ფუტკარაძე**